

საქართველოს კანონი

„საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N12, 21.05.2003, მუხ. 62) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის კადრებისა და ხარჯების ზღვრულ მოცულობებს შესაბამისად პარლამენტისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ წარდგენილი პროექტის საფუძველზე განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით. საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხარჯების ზღვრული მოცულობის დამტკიცებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ იგი არ უნდა იყოს გასულ საბიუჯეტო წელს დამტკიცებულ მოცულობაზე ნაკლები. ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის განკუთვნილი მიმდინარე ხარჯების შემცირება წინა წლის საბიუჯეტო სახსრების ოდენობასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ პარლამენტისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წინასწარი თანხმობით“.

2. მე-20 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 პუნქტი:

„11. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ წარდგენილ საბიუჯეტო განაცხადში დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ხარჯებთან დაკავშირებით მითითებული პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მისივე თანხმობით“.

3. 36-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით საქართველოს პარლამენტს და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას მათთვის გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილებისათვის ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი უფლების გამოყენება შეუძლია შეუზღუდავად“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი